

# საბავშვო თეატრის სპეციფიკა და მეთოდოლოგია

ანი ტულუში

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე დრამის რეჟისურის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის კვლევები და კულტურის მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ხეთაგური, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

## აბსტრაქტი

თეატრის მნიშვნელობა და საზოგადოებაზე გავლენა საკმაოდ დიდია. არქაული დროიდან დაწყებული, ათასწლეულების მანძილზე თეატრალურმა ხელოვნებამ ევოლუციური გზა განვლო რიტუალებიდან და თამაშებიდან დაწყებული, დამოუკიდებელ ხელოვნების დარგად ჩამოყალიბებამდე. ერთიან თეატრალურ სივრცეში საბავშვო თეატრმა განსაკუთრებული ადგილი დაიკავა.

მოცემულ ნაშრომში განხილულია თეატრი, რომელშიც თამაშობენ ბავშვები და გაანალიზებულია მისი მიზნები და ამოცანები. თეატრი ბავშვებში ავითარებს ემოციურ, ფიზიკურ, ინტელექტუალურ, წარმოსახვით, ესთეტიურ და სოციალურ ასპექტებს. მისი როლი დიდია კომუნიკაციის და გუნდურობის უნარების ჩამოყალიბებაში. თეატრი სინთეტური ხელოვნებაა, სადაც ბავშვი ერთდროულად შედის ლიტერატურის, მხატვრობის, ქორეოგრაფიის და მუსიკის სამყაროში, სწორედ ამიტომ იგი უნივერსალური განათლების მოდელია.

ერთ-ერთი საკითხი, რომელზეც გამახვილებულია ყურადღება, არის საბავშვო თეატრის პედაგოგიკა. გაანალიზებულია მისი ძირითადი პრობლემები და მიზნები, ასევე მიმოხილულია სხვადასხვა ქვეყანაში არსებული პედაგოგიკის პრინციპები.

მნიშვნელოვან თემას წარმოადგენს თამაშის როლი საბავშვო თეატრში. იოჰან ჰაიზინგას „კაცი მოთამაშე“-ს მიხედვით, თამაში განხილულია როგორც ზოგადად კულტურის ელემენტი. ასევე, თეატრალური თამაშები წარმოჩენილია, როგორც საბავშვო თეატრის სპექციფიკის ძირითადი პრინციპი.

ნაშრომში მიმოხილულია საბავშვო თეატრის წამყვანი მეთოდოლოგიები. თეატრალური წრე „ლიგამუსლენდის“ მაგალითზე მოყვანილია პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება,

მუშაობის პროცესის ძირითადი ასპექტები და მაგალითები, თუ რამდენად გამართლებულია ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება პრაქტიკაში.

კვლევის აქტუალურობა გამოწვეულია, ერთი მხრივ, ბავშვთა განვითარების ამოცანის გადაჭრის მნიშვნელობით, მეორე მხრივ, მოცემული პრობლემის მომავალი განვითარების საჭიროებით.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** საბავშვო თეატრი, თეატრალური თამაშები, განვითარება, მეთოდოლოგია

## Abstract

The meaning and the influence of the theatre on the society is quite large. Since the ancient times the art of theatre evolved from rituals and games to becoming independent art discipline. In the overall theatre process, children's theatre occupied special place.

Given work describes the theatre where all the actors are children. It analyses its purpose and goals. The theatre develops children's emotional, physical, intellectual, imaginal, esthetic and social skills. Its importance is huge in forming communicational and team working abilities. The theatre is synthetic art where the child explores the world of literature, painting, choreography and music. That's why it can be assumed to be the universal mode of education.

One of the main points of this thesis is the pedagogical specifications of the children's theatre. It analyses the main problems and goals. It also describes different means of pedagogical approaches in different countries.